ოჯახის

ს ა ხ ე ლ მ მ ღ ვ ა ნ ე ლ ო

ოჯახის

ს ა ხ ე ლ მ მ ღ ვ ა ნ ე ლ ო

გამოცემულია უკანასკნელი დღეების
წმინდანთა, იესო ქრისტეს ეკლესიის მიერ.
სოლთ ლეიქ სითი, იუტა.

© 2001, 2008 by Intellectual Reserve, Inc.
ყველა უფლება დაცულია
Printed in Germany

English approval: 2/06
Translation approval: 2/06
Translation of *Family Guidebook*
Georgian

სარჩევი

„ოჯახი: მოწოდება მსოფლიოს”	iv
ოჯახის მიზანი და ორგანიზაცია	1 გვ.
სახარების სწავლება ოჯახში	5 გვ.
საოჯახო მოვალეობების მესრულება	14 გვ.
წინამძღოლობისთვის მზადება	18 გვ.
ოჯახში საეკლესიო სამსახურის ჩატარება (ოჯახებისთვის, რომლებიც ცხოვრობენ იზოლირებულ გარემოში).	19 გვ.
სამღვდელოების წეს-ჩვეულებანი და კურთხევა.	21 გვ.
საეკლესიო მასალების მიღება და ინფორმაციის ნახვა, ოჯახის ისტორიის შესახებ.	30 გვ.

„ოჯახი: მოწოდება მსოფლიოს.”

1995 წელს, პირველმა პრეზიდენტობამ და თორმეტმა მოციქულმა, გამოაქვეყნეს „ოჯახი: მოწოდება მსოფლიოს.” ეს მოწოდება ჭეშმარიტი აღიარება და დადასტურებაა დოქტრინებისა და წვრთნისა, რომელსაც წინასწარმეტყველები მრავალჯერ ადგენდნენ, ეკლესიის მთელი ისტორიის განმავლობაში. იგი შეიცავს კანონებს, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ყველა ოჯახის ბედნიერებისა და კარგად ყოფნისთვის. ოჯახის წევრებმა უნდა ისწავლონ მოწოდება და მისი რჩევებით იცხოვრონ.

„ჩვენ, უკანასკნელი დღეების წმინდანთა, იესო ქრისტეს პირველი პრეზიდენტობა და თორმეტთა საბჭო, საჯაროდ ვაცხადებთ, რომ ქორწინება კაცსა და ქალს შორის, ღმერთის მიერაა დაწესებული და ოჯახი შემქმნელის გეგმის მთავარი ნაწილია, მისი შვილების მარადიული ბედი”.

„ყოველი ადამიანი, მამაკაცი, თუ ქალი, ღმერთმა თავის ხატად შექმნა. თითოეული, ზეციერი მშობლების საყვარელი, სულიერი მე და ქალიშვილია. ამის გამო, თითოეულს ღვთაებრივი ბუნება და ბედი გააჩნია. წარმომავლობა, მირითადი დამახასიათებელი ნიშანია პიროვნებისთვის წინამიწიერი, მიწიერი და მარადიული ცხოვრების დროს”.

„წინამიწიერ ცხოვრებაში, სულიერი ვაჟიშვილები და ქალიშვილები იცნობდნენ და ეთაყვანებოდნენ ღმერთს, როგორც თავიანთ მარადიულ მამას. მათ აღიარეს მისი გეგმა, რომლის მიხედვით, მის შვილებს შეუმლიათ მიიღონ ფიზიკური სხეული და მიწიერი გამოცდილება, რომ გახდნენ სრულყოფილნი და საბოლოოდ თავიანთ ღვთიურ ბედს მიაღწიონ, როგორც ღმერთის მემკვიდრეებმა. ბედნიერების ღვთიური გეგმა, საშუალებას ამლევს ოჯახურ ურთიერთობებს გაგრძელდეს სიკვდილის შემდეგაც. წმინდა წეს-ჩვეულებების და აღთქმების მიღება წმინდა ტამრებშია შესამლებელი, რომლებიც შესამლებელს ხდის პიროვნებებისთვის დაბრუნდნენ ღმერთის სასუფეველში და ოჯახებისთვის – სამუდამოდ გაერთიანდნენ”.

„პირველი მცნება, რომელიც ღმერთმა ადამს და ევას მისცა, იყო შესამლებლობა მათთვის როგორც ქმარს და ცოლს, გამხდარიყვნენ მშობლები. ჩვენ ვაცხადებთ ღმერთის მცნებას მისი შვილებისთვის, ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა. შემდგომ ვაცხადებთ, რაც ღმერთმა გვიბრძანა, რომ მთამომავლობის გავრცელების წმინდა მალები, უნდა არსებობდეს მხოლოდ კაცსა და ქალს შორის, რომლებიც კანონიერად დაქორწინებულები არიან, როგორც ქმარი და ცოლი”.

„ჩვენ ვაცხადებთ, რომ დედამიწაზე ცხოვრების ფესი ღმერთის მიერაა დადგენილი. ჩვენ ვადასტურებთ ცხოვრების სიწმინდეს და მის განსაკუთრებულობას ღმერთის მარადიულ გეგმაში".

„ქმარს და ცოლს სერიოზული და წმინდა მოვალეობა აკისრიათ, უყვარდეთ და ზრუნავდნენ ერთმანეთზე და თავიანთ შვილებზე. „აჰა მემკვიდრეობა უფლისგან – შვილები, გასამრჯელო" (ფსალმუნი 127:3). მშობლებს წმინდა მოვალეობა აქვთ, მოეპყრონ ბავშვებს სიყვარულით და სამართლიანად, უზრუნველყონ ისინი ფიზიკური და სულიერი საჭიროებებით, ასწავლონ, უყვარდეთ და ზრუნავდნენ ერთმანეთზე, განიხილონ ღმერთის მცნებები და იყვნენ კანონის მოშიში ადამიანები, სადაც არ უნდა ცხოვრობდნენ. ქმრები და ცოლები, დედები და მამები, პასუხისმგებელნი არიან ღმერთის წინაშე ამ ვალდებულებების შესასრულებლად".

„ოჯახი, ღმერთის მიერაა დადგენილი. მამაკაცსა და ქალს შორის ქორწინება, მისი მარადიული გეგმის მირითადი ნაწილია. ბავშვები კანონიერი ქორწინების შედეგად უნდა გაჩნდნენ, აღიზარდონ იმ მამის და დედის მიერ, რომლებიც გულახდილად აღიარებენ და ემორჩილებიან ქორწინების ფიცს. ოჯახში ბედნიერება შეიმლება მიღწეულ იყოს მაშინ, როცა ოჯახური ცხოვრება დაფუძნებულია უფლის, იესო ქრისტეს სწავლებებზე. წარმატებული ქორწინებები და ოჯახები იქმნება და არსებობს რწმენის, ლოცვის, მონანიების, შენდობის, პატივისცემის, სიყვარულის, საქმიანობის და დასვენების კანონებზე. ღმერთის გეგმის მიხედვით, მამებმა უნდა უხელმძღვანელონ თავიანთ ოჯახებს სიყვარულით, სამართლიანად და ვალდებულნი არიან ყველაფრით უზრუნველყონ, დაიცვან თავიანთი ოჯახები. დედების პირველი მოვალეობაა აღზარდონ თავიანთი შვილები. ამ წმინდა მოვალეობებში, მამები და დედები ვალდებულნი არიან ერთნაირად გაინაწილონ მოვალეობანი და დაეხმარონ ერთმანეთს. ინვალიდობამ, სიკვდილმა ან სხვა გარემოებებმა, შესამლოა შეცვალოს ეს მოვალეობები დაკავშირებული ოჯახის ზრუნვასთან. როცა საჭიროა, სხვა ნათესავებმა დახმარების ხელი უნდა გაუწოდონ".

„ჩვენ ვაფრთხილებთ იმ პირებს, ვინც უმანკოების მცნებებს არღვევს, ცუდად ეპყრობიან თავიანთ მეუღლეებს, ან შვილებს, ან ვინც არ ასრულებს საოჯახო მოვალეობებს. ერთ დღეს, პასუხს აგებენ ღმერთის წინაშე. შემდგომ ჩვენ გაფრთხილებთ, რომ ოჯახის დანგრევა პიროვნებებს, საზოგადოებებს და ეროვნებებს უბედურებას მოუტანს, რომლებიც ნაწინასწარმეტყველები იყო მველი და თანამედროვე წინასწარმეტყველების მიერ".

„ჩვენ ვთხოვთ ამაზე პასუხისმგებელ ყველა მოქალაქეს და სახელმწიფო მოხელეს, მოუწოდონ შექმნან შესაფერისი გარემო და გაამხნევონ ხალხი, მოიქცნენ ისე, რომ შეინარჩუნონ და გაამლიერონ ოჯახი, როგორც საზოგადოების მირითადი ერთეული.” ჟურნალი (*Ensign*, Nov. 1995, 102)

ოჯახის მიზანი და ორგანიზაცია

ორგანიზაცია

ოჯახი, დროსა და მარადისობაში, უკანასკნელი დღეების წმინდანთა, იესო ქრისტეს ეკლესიის მირითადი შემადგენელი ნაწილი და ყველაზე მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ერთეულია. ღმერთმა დააარსა ოჯახები, რათა ბედნიერება მოეტანა მისი შვილებისთვის, ნება მიეცა მათთვის შეესწავლათ სწორი კანონები სიყვარულის ატმოსფეროში და ისინი მარადიული ცხოვრებისათვის მოემზადებინა.

ოჯახი, საუკეთესო ადგილია სწავლებისა და სახარების კანონების ათვისებისთვის. ეს ის ადგილია, სადაც ადამიანებს შეუძლიათ ისწავლონ, თუ როგორ მოიმარაგონ საკვები, ტანსაცმელი, თავშესაფარი და სხვა საჭიროებები. მამა და დედა, როგორც თანასწორუფლებიანი პარტნიორები, ოჯახის ყველა წევრს უნდა დაეხმარონ:

- ჭეშმარიტების მიებაში და ღმერთისადმი რწმენის გაღრმავებაში.
- ცოდვების მონანიებით და ნათლობით, რათა ცოდვებისგან გათავისუფლდეს, გახდეს უკანასკნელი დღეების წმინდანთა, იესო ქრისტეს ეკლესიის წევრი და მიიღოს სულიწმიდა.
- დაემორჩილეთ ღმერთის მცნებებს, ყურადღებით შეისწავლეთ წმინდა წერილები, ყოველდღიურად აღასრულეთ ლოცვები და ემსახურეთ სხვებს.
- გაუზიარეთ სხვებს სახარება.
- დაქორწინდით ტამარმი, ცხოვრების ღირსეულ თანამგზავრზე სამარადისოდ, შექმენით ბედნიერი ოჯახი და იზრუნეთ ოჯახზე სიყვარულით და მსხვერპლის გაღებით.

- ემიეთ ინფორმაცია გარდაცვლილ წინაპართა შესახებ და შეასრულეთ საეკლესიო რიტუალი მათთვის.

- იზრუნეთ სულიერი, სოციალური, ფიზიკური და ემოციური ჯანმრთელობისთვის.

მამა, რომელიც ფლობს მღვდლობას, არის მთავარი სამღვდელო მოხელე ეკლესიაში. იგი ოჯახის თავი, ან პატრიარქია (იხ. ეფესელთა მიმართ 5:23). როგორც სამღვდელოების წინამმღოლი ოჯახში, ის ხელმძღვანელობს ოჯახს და პასუხს აგებს სწავლებაზე, კურთხევაზე და ამარაგებს ოჯახს აუცილებელი საჭიროებებით. ის ხელმძღვანელობს ოჯახს, რათა მოამზადოს მამაზეციერთან დასაბრუნებლად. მისი ცოლი, უახლოესი პარტნიორი და მრჩეველია. ცოლქმარი ერთად უნდა თათბირობდნენ ყველა საქმეზე, რაც მათ ოჯახს შეეხება.

მამა უნდა ზრუნავდეს ოჯახის სულიერ საჭიროებებზე. მან უნდა დაინახოს, რომ მათ ნასწავლი აქვთ იესო ქრისტეს სახარება და ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ წაახალისოს და დაეხმაროს, დაემორჩილონ უფლის მცნებებს.

მამა, რომელიც ფლობს მღვდლობას, აკურთხებს საკუთარი ოჯახის წევრებს და ბრუნავს მათ სულიერ საჭიროებებზე. მესაბამისი მღვდლობის უფლებით და *მისი სამღვდელოების წინამძღოლის უფლებით*, მამას შეუმლია:

1. სახელი დაარქვას და აკურთხოს ბავშვები.
2. მონათლოს ბავშვები (და სხვები).
3. დაამტკიცოს ბავშვები (და სხვები), ეკლესიის სხვა წევრები და მიანიჭოს მათ სულიწმინდა.
4. თავის ვაჟებს (და სხვებს), მიანიჭოს მღვდლობა და მღვდლობის თანამდებობები.
5. აკურთხოს და გადასცეს ბიარება.
6. აკურთხოს საფლავები.

სამღვდელოების წინამძღოლის ნებართვის გარეშე, მამას, რომელიც მელქისედექის მღვდლობას ფლობს, შეუმლია აკურთხოს ზეთი, საკუთარი ოჯახის წევრები და სხვები, რომლებიც ავად არიან და განსაკუთრებული კურთხევა მიანიჭოს მათ სხვა მემთხვევაში, როცა საჭიროება მოითხოვს. (იხ. ამ სახელმძღვანელოს გვერდები – 18–25, სადაც სამღვდელოების წეს-ჩვეულებების და კურთხევების შესახებ ინსტრუქციებია აღწერილი).

მამა უნდა ხედავდეს, რომ მისი ოჯახი აქტიურადაა ჩართული სამღვდელოების სამ მირითად მოვალეობაში:

1. პირადი, ოჯახის სულიერი და ფიზიკური მომზადება.
2. სახარების გაზიარება.
3. ოჯახის ისტორია და საეკლესიო რიტუალები, ცოცხლებისთვის და გარდაცვლილთათვის.

დედა, ქმრის თანასწორი მრჩეველი და პარტნიორია. იგი ეხმარება მას, ასწავლონ შვილებს ღმერთის კანონები. თუ მამა არ არის ოჯახში, მაშინ დედა იღებს ოჯახის უფროსობის პასუხისმგებლობას.

დედ-მამას ერთი მიზანი უნდა ჰქონდეთ. მათ მიზანს უნდა წარმოადგენდეს, ოჯახის ყველა წევრი მოამზადონ, ჩვენს მამაზეციერთან დასაბრუნებლად. ისინი უნდა გაერთიანდნენ ამ მიზნის მისაღწევად. უფალმა დააარსა ეკლესია, რათა დაეხმაროს მამებსა და დედებს ასწავლონ და იზრუნონ თავიანთ ოჯახებზე.

როდესაც ბავშვები მოდიან ოჯახში, მშობლებს უნდა უყვარდეთ ისინი, უნდა ასწავლონ სახარების ჭეშმარიტება და იყვნენ სამაგალითონი, სამართლიანი ცხოვრების წესით. ბავშვებმა უნდა ისწავლონ და დაიცვან ღმერთის მცნებები. მათ უნდა დააფასონ და დაემორჩილონ თავიანთ მშობლებს.

ეკლესიის სიმლიერე ოჯახებსა და ინდივიდებზეა დამოკიდებული, რომლებიც იესო ქრისტეს სახარე-

ბით ცხოვრობენ. იმისათვის, რომ ოჯახმა სახარების კურთხევით სიხარული განიცადოს, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ კარგად ესმით მამას და დედას და რამდენად კარგად ასრულებენ მშობლის მოვალეობებს. ეკლესია არასოდეს მისცემს მშობლებს პროგრამებს, ან მამის და დედის პასუხისმგებლობებს, რაც მათ გადაღლის, ან ხალისს დაუკარგავს, ან აიმულებს უარყონ ეს ყველაზე მთავარი მოვალეობები.

მიზანი

რადგან მამაზეციერს ვუყვარვართ, მას სურს ავმაღლდეთ, როგორც თვითონ. ამის მისაღწევად მან მოგვცა გეგმა, რომელსაც უნდა გავყვეთ. იგი ჭეშმარიტების ღვთიურ კანონებზეა დაფუძნებული. ისინი, ვინც სწავლობენ გეგმას და რწმენით ასრულებენ მას, ერთ დღეს შესამლოა გახდნენ მამაზეციერის მსგავსნი და ისიამოვნონ მისი ცხოვრების მსგავსი ცხოვრებით.

გეგმის ნაწილი გვეხებოდა ჩვენ, რომ მიგვეტოვებინა ზეცა და მოვსულიყავით დედამიწაზე. აქ ჩვენ ვიმენთ ფიზიკურ სხეულს, გამოცდილებას და ვამტკიცებთ, რომ ვართ ღირსნი, რათა კვლავ ვიცხოვროთ ღმერთთან. ჩვენ თავისუფალი არჩევანის გაკეთებით, ღირსეულად ვთვლით თავს, რომ დავიცვათ მისი კანონები. (იხ. აბრაამი 3:23–25; 2 ნეფი 2:27)

იმისათვის, რომ დაგვეხმაროს მოვემზადოთ მასთან საცხოვრებლად, მამაზეციერი ოჯახებად გვაყალიბებს. დედამიწაზე არსებული ოჯახები, ზეციურ სამეფოში არსებული ოჯახების მსგავსნი არიან.

სახარების სწავლება ოჯახში

უფალმა მოუწოდა მშობლებს, ასწავლონ სახარება თავიანთ შვილებს. მან თქვა:

,,თუ მშობლებს შვილები ჰყავთ სიონში, ან მის რომელიმე პალოში, რომელიც ისეა მოწყობილი, რომ ასწავლის მათ, ვერ გაიგონ მონანიების დოქტრინა, ქრისტეს რწმენა, ცოცხალი ღმერთის მის მიმართ. ნათლობის და სულიწმიდის ნიჭის მიმართ ხელდადებით, რვა წლის ასაკში, მშობლებს ცოდვა დაედებათ".

,,ეს იქნება კანონი სიონის მოსახლეობისთვის, ან მის მიერ მოწყობილი რომელიმე პალოსათვის".

,,მათი შვილები უნდა მოინათლონ, რათა განიწმიდონ ცოდვებისაგან, რვა წლისანი და მიიღონ ხელდადება".

,,და მშობლებმა უნდა ასევე ასწავლონ თავიანთ შვილებს, რომ ილოცონ და იარონ უფლისკენ" (დოქტრინები და აღთქმები 68:25–28).

ოჯახის მიერ წმინდა წერილის შესწავლა

ჩვენ შეგვიმლია გავხდეთ მამაზეციერის მსგავსნი და მივიღოთ სიამოვნება, მისი ცხოვრების მსგავსი ცხოვრებით, იმ კანონების დაცვით, რომელზეც ეს კურთხევაა დაფუძნებული (იხ. დოქტრინები და აღთქმები 130:20–21). ვიდრე ჩვენ შეგვიმლია ვიცხოვროთ ამ კანონებით, უნდა ვიცოდეთ თუ რა

არის ის. ,,მეუმლებელია უმეცრებაში მყოფი ადამიანი გადარჩეს". (დოქტრინები და აღთქმები 131:6).

იესო ქრისტე, ჩვენი ფინამმღოლი და კანონმდებელია. მან იცის გზა და კანონები, რომლებიც უნდა დავიცვათ და მოგვიწვია თითოეული ჩვენთაგანი, რომ გავყვეთ მას, მან თქვა: ,,მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და ცხოვრება. ვერავინ მივა მამასთან ჩემს გარეშე" (იოანე 14:6). იმისათვის, რომ მამაზეციერის მსგავსნი გავხდეთ და მასთან დავბრუნდეთ, უნდა ვისწავლოთ იესო ქრისტეს სწავლებანი და გავყვეთ მას. ჩვენ გვაქვს წმინდა წერილები, რომლებიც გვეხმარება ვისწავლოთ ცხოვრების შესახებ, იესო ქრისტესი სწავლებები და მცნებები.

ოთხი წიგნი, რომლებსაც ეკლესია აღიარებს, როგორც წმინდა წერილს: არის ,,ბიბლია", ,,მორმონის წიგნი", ,,დოქტრინები და აღთქმები" და ,,მვირფასი მარგალიტი". ისინი ხსნიან სახარების კანონებს და სტანდარტებს, რითაც შეგვიმლია გავზომოთ ყველა ფიქრი, მოქმედებები და სწავლებები. ისინი გვეხმარებიან ვისწავლოთ იესო ქრისტეს ცხოვრებისა და სწავლებების შესახებ და მივცეთ მაგალითი ხალხს, რომლებსაც აქვთ ღმერთის რწმენა და იცავენ მის მცნებებს.

იესომ გვასწავლა, რომ მოვიმიოთ და ვისწავლოთ წმინდა წერილები (იხ. იოანე 5:39, 3 ნეფი 23:1, დოქტრინები და აღთქმები 88:118).

ოჯახებმა ერთად უნდა ისწავლონ წმინდა წერილები ყოველ დღე, რომ გაიგონ და გაყვნენ უფლის სწავლებებს. მამებმა უნდა შეკრიბონ ოჯახები ერთად, გარკვეულ დროს, ყოველ დღე, რომ წაიკითხონ და განიხილონ წმინდა წერილები. ყოველ ოჯახის წევრს, რომელსაც კითხვა შეუმლია, მიეცეს შესამლებლობა წაიკითხოს წმინდა წერილიდან.

ოჯახის წევრმა შეიმლება წარმოთქვას ლოცვა წმინდა წერილის წაკითხვის წინ და ჰკითხოს მამაზეციერს, აკურთხოს ყოველი მათგანი, რათა გაიგონ წაკითხული და მიიღონ მასზე დამოწმება. ოჯახებს შეიმლება მოესურვოთ, ოჯახური ლოცვების წარმოთქმა, წმინდა წერილის კითხვის შემდეგ.

როდესაც ოჯახები კითხულობენ და ფიქრობენ წმინდა წერილებზე, მათ შეიმლება მოესურვოთ გახდნენ მხსნელის მსგავსნი და დიდ ბედნიერებას, მშვიდობას მოიპოვებენ ცხოვრებაში.

ინდივიდუალური და ოჯახური ლოცვები

თითოეულმა ჩვენთაგანმა უნდა ისწავლოს, თუ როგორ ესაუბროს მამაზეციერს ლოცვით. მას ვუყვარვართ და სურს, რომ ვესაუბროთ. მას სურს, რომ მადლობა გადავუხადოთ ჩვენი კურთხევისთვის და ვთხოვოთ დახმარება და წინამძღოლობა. ის დაგვეხმარება, თუ მას ვთხოვთ. ლოცვების უმეტესობა სრულდება მუხლმოყრით, თავდახრილი და თვალებ დახუჭული, მჯდომარე, ან მდგომარე.

ჩვენ უნდა დავიმახსოვროთ უფლის მნიშვნელოვანი კანონი ლოცვის დროს:

1. ლოცვას, მამაზეციერთან საუბრით ვიწყებთ: „მამაო ჩვენო".
2. მადლობას ვწირავთ ღმერთს ყველაფრისათვის, რასაც გვამლევს: „ჩვენ მადლობელი ვართ. . ."
3. ვთხოვთ მას დახმარებას, რაც გვჭირდება: „ჩვენ გთხოვთ, რომ. . ."
4. ლოცვას მხსნელის სახელით ვამთავრებთ „იესო ქრისტეს სახელით, ამინ".

ჩვენ ლოცვებში აუცილებელი არაა, ამ ოთხივე საფეხურის გამოყენება, მაგრამ თუ ეს ყველაფერი გონებაში გვექნება აღბეჭდილი, ის ლოცვაში დაგვეხმარება. უნდა ყოველთვის დავიწყოთ და დავამთავროთ ლოცვები, პირველი და ბოლო საფეხურებით, მაგრამ რასაც მუაში ვიტყვით დამოკიდებულია იმაზე, თუ რას ვგრძნობთ. ზოგჯერ მოგვესურვება, მთელი ლოცვა მოვანდომოთ მამაზეციერისადმი მადლობის თქმას. სხვა დროს, შეიმლება მთელი ლოცვა მოვანდომოთ მისთვის დახმარების თხოვნას.

ინდივიდუალური ლოცვები

ყოველ ადამიანს შეუმლია ილოცოს ინდივიდუალურად, სულ ცოტა ერთხელ მაინც დილა–საღამოს. მშობლებმა უნდა ასწავლონ შვილებს, რომ აღავლინონ პირადი ლოცვა საუბრის დაწყებისთანავე. მშობლებს შეუმლიათ ასწავლონ შვილებს, თუ როგორ ილოცონ მუხლზე დაჩოქილებმა და როგორ იმეორონ ერთი და იგივე წინადადება ერთად. მალე ბავშვები შემლებენ დამოუკიდებლად ლოცვის წარმოთქმას.

ოჯახური ლოცვები

ყოველი ოჯახი, ყოველდღიურ ოჯახურ ლოცვას უნდა ასრულებდეს. მთელი ოჯახი ერთად იჩოქებს, მამა კი წარმოთქვამს ლოცვას, ან სთხოვს ოჯახის რომელიმე წევრს, რომ წარმოთქვას იგი. ყველას უნდა ჰქონდეს ლოცვის წარმოთქმის მუდმივი მესამლებლობა. პატარა ბავშვები, მორიგეობით მონაწილეობენ ლოცვაში და ეხმარებიან მშობლებს. ოჯახური ლოცვის დროს, გვემლევა ბრწყინვალე მესამლებლობა ვასწავლოთ ბავშვებს, თუ როგორ ვილოცოთ და ვასწავლოთ ისეთი კანონები, როგორიცაა ღმერთისადმი რწმენა, თავმდაბლობა და სიყვარული.

განსაკუთრებული ლოცვები

მშობლებმა უნდა ასწავლონ შვილებს, რომ ღმერთი ყოველთვის მზადაა, რომ მოისმინოს მათი ლოცვები. მუდმივ ინდივიდუალურ და ოჯახურ ლოცვასთან ერთად, მათ შეუმლიათ ილოცონ ყოველთვის, როცა დახმარება სჭირდებათ, ან სურთ, რომ მადლობა გადაუხადონ.

საკვების კურთხევა

ყოველმა მშობელმა უნდა მიაქციოს ყურადღება, რომ მისი ოჯახის წევრებმა ისწავლონ საკვების გამო ღმერთისათვის მადლობის თქმა და თხოვნა, რომ ჯამამდე აკურთხოს ღმერთმა საკვები. საჭმლის კურთხევისათვის, ლოცვის წარმოთქმა ეხმარება მშობლებს და ბავშვებს ისწავლონ, იყვნენ მადლიერნი მამაზეციერის მიმართ.

საოჯახო საღამო

ყოველი ოჯახი, კვირა დღეს საოჯახო საღამოებს უნდა აწყობდეს. ოჯახი შეიმლება შედგებოდეს ერთი პიროვნებისგან, ან ქმრისგან და ცოლისგან. ის შეიმლება მოიცავდეს შვილებს და ნათესავებსაც კი. ყოველი ოჯახი, მდგომარეობის მიუხედავად, იქნება კურთხეული საოჯახო საღამოების მოწყობის გამო. ეკლესია თავისუფალ დროს გამოყოფს ორშაბათ საღამოს,

რომელიც ოჯახებს შეუმლიათ გამოიყენონ საოჯახო საღამოებისთვის.

პირველმა პრეზიდენტობამ თქვა: „ჩვენ გპირდებით დიდ კურთხევებს, თუ მიყვებით უფლის რჩევებს და ჩაატარებთ რეგულარულ ოჯახურ საღამოებს. ჩვენ მუდმივად ვლოცულობთ, რომ ეკლესიის წევრმა მმობლებმა აიღონ პასუხისმგებლობა, ასწავლონ სახარება და მაგალითი მისცენ თავიანთ შვილებს. ღმერთი დაგლოცავთ ამ დიდი პასუხისმგებლობისათვის.” (პირველ პრეზიდენთა მოწოდება *„საოჯახო საღამოს რესურსების წიგნი”* [1983], iv).

ოჯახის პატრიარქი, მამა მეთაურობს ოჯახს. ის ირჩევს ოჯახის წევრს, რომ წარმართოს საოჯახო საღამო. ასწავლის გაკვეთილს, ან სწავლებას ავალებს ცოლს, ან ბავშვებს, რომლებიც არიან საკმაოდ მოზრდილნი, რომ ასწავლონ. ყველა უფროსს აქვს მონაწილეობის მიღების უფლება. უმცროსი ასაკის ბავშვებს შეუმლიათ დახმარება მუსიკით, წმინდა წერილებიდან ეპიზოდების წაკითხვით, კითხვებზე პასუხის გაცემით, სურათების დაჭერით, გამაგრილებელი სასმელების შეთავაზებით და ლოცვით. მამის არ ყოფნის დროს, დედა ხელმძღვანელობს.

შემოთავაზებული საოჯახო საღამოების, მირითადი შემადგენელი ნაწილებია, შემდეგი:

- საღამოს გახსნის სიმღერა (ოჯახის მიერ).
- დაწყების ლოცვა (ოჯახის წევრის მიერ).
- პოემის, ან წმინდა წერილის წაკითხვა (ოჯახის წევრის მიერ).
- გაკვეთილი (მამის, დედის, ან უფროსი შვილის მიერ).
- საქმიანობა (რომელსაც ოჯახის წევრი აწყობს და სადაც ყველა ოჯახის წევრი მონაწილეობს).
- დახურვის სიმღერა (ოჯახის წევრის მიერ).
- დახურვის ლოცვა (ოჯახის წევრის მიერ).
- გამაგრილებელი სასმელები.

ოჯახებმა, ოჯახური საღამო სხვაგვარადაც შეიმლება ჩაატარონ. ყოველი საქმიანობა, რომელიც ოჯახს ერთად კრებს, ამლიერებს მათ სიყვარულს ერთმანეთის მიმართ, ეხმარება ახლოს მივიდნენ მამაზეციერთან და მოუწოდებს მათ იცხოვრონ სამართლიანად. ეს შეიმლება იყოს საოჯახო საღამო. ასეთი საქმიანობების მაგალითია, წმინდა წერილების

კითხვა, მასალების განხილვა, დამოწმებების გაზიარება, მსახურების პროგრამის ჩატარება, ერთად სიმღერა, პიკნიკზე წასვლა, ოჯახური თამამის ჩატარება და ლამქრობა. ყოველი საოჯახო საღამო უნდა მოიცავდეს ლოცვას.

ოჯახური საღამოების გაკვეთილები,დაფუმნებელი უნდა იყოს წმინდა წერილებზე, უკანასკნელი დღეების წინასწარმეტყველთა სიტყვებზე, განსაკუთრებით კი მთავარი კონფერენციის მიმართვებზე, პირად გამოცდილებებსა და დამოწმებებზე. ბევრი გაკვეთილი უნდა ეხებოდეს მხსნელის დაბადებას, ცხოვრებას, სწავლებებსა და გამოსყიდვას. *სახარების კანონები, მირითადი სახარება.* ეკლესიის ჟურნალები მოიცავენ სტატიებს და სხვა ინფორმაციებს მრავალ მოვლენებზე, რომელიც შეისწავლება საოჯახო საღამოს გაკვეთილებზე.

საოჯახო საღამოებისთვის, გთავაზობთ შემდეგ თემებს:

- ხსნის გეგმა
- იესოს ცხოვრება და სწავლება
- მონანიება
- ლოცვა
- მარხვა
- სიბრმნის სიტყვა
- უფლისგან დაკანონებული მორალი
- ზიარების მნიშვნელობა
- მეათედი
- მადლიერება
- პატიოსნება
- ღმერთის თაყვანისცემა და საკუთარ ქმნილებათა პატივისცემა.
- ნათლობის, მღვდლად კურთხევის და ქორწინების მზადება.
- ტამარში შესვლისთვის მზადება.
- წმინდა წერილების კითხვა.
- შაბათი (კვირა) დღის წმინდად შენახვა.
- სხვების პატიება.
- დამოწმებების მოპოვება და გაზიარება.
- სახარების გაზიარება სხვებისთვის.
- ოჯახის ისტორიის შედგენა.
- სიკვდილის გაგება და გაზიარება.
- ოჯახური პრობლემების გადაჭრა.
- ოჯახის ფინანსების მართვა.
- ოჯახური საქმიანობის გაზიარება.
- მუსიკის დაფასება და მისგან სიამოვნების მიღება.

დღესასწაულები და განსაკუთრებელი მოვლენები

დღესასწაულები და განსაკუთრებული მოვლენები, როგორიცაა შობა, აღდგომა, მღვდლობის აღდგენის დღესასწაული, კონფერენციები, ოჯახის წევრის წასვლა

მისიით, ან დაბადება, ნათლობა, ან ოჯახის წევრის კურთხევა, სახარების ჭეშმარიტების სწავლების ბრწყინვალე მესამლებლობაა.

მეათედი და შესაწირები

უფალმა მოუწოდა თავის ხალხს, იცხოვრონ მეათედის კანონით და დაპირებული კურთხევების ღირსნი იყვნენ (იხილეთ მალაქია 3:8–11).

მმობლებისათვის მესანიშნავ დროს, მეათედის კანონისა და შესაწირების სწავლებისთვის წარმოადგენს, როცა ისინი თვითონ იხდიან. ბავშვები გავლენას განიცდიან, როდესაც ხედავენ, თუ რას აკეთებენ მათი მშობლები. ბავშვები, რომლებიც სტიპენდიას იღებენ, უნდა გადაიხადონ მეათედი, იმ თანხიდან. ყოველ ბავშვს უნდა ჰქონდეს სამი ყულაბა: ერთი – მეათედისთვის, ერთი – მისიისთვის და ერთი – სახარჯოდ. ყოველთვის, როცა ბავშვები ფულს იღებენ, უნდა ისწავლონ, რომ პირველად ჩააგდონ 10 პროცენტი მეათედის ბანკში. შემდეგ, რაღაც რაოდენობა ჩადოს მისიისთვის განკუთვნილ ყულაბაში, დარჩენილი თანხა კი სახარჯო ფულის ყულაბაში.

როდესაც ბავშვები მეათედს იხდიან, მშობლებმა უნდა ასწავლონ , რომ შეავსონ მეათედის გადახდის ქვითარი, ფულთან ერთად ჩადონ კონვერტში და მისცენ, ან გააგზავნონ კონვერტი მათი საეპისკოპოსოს, ან ფილიალის პრეზიდენტობის წევრთან. ოჯახები, რომლებიც არ ცხოვრობენ სამეურვეოში, ან ფილიალში, უნდა გადაიხადონ მეათედი, მათზე მიმაგრებულ სამღვდელოების წინამძღოლთან.

დისკუსია სადილობის დროს

სადილობის დრო, კარგი მომენტია სახარებაზე სასაუბროდ. პატარებს მოსწონთ, სახარების შესახებ კითხვების დასმა და მათზე პასუხი. როდესაც არ იციან პასუხები, მამამ, ან დედამ შეიმლება მოკლედ უპასუხონ და ასწავლონ სახარება. არ არის საჭირო, ყოველი სადილობის დროს გავიმეოროთ სახარების დისკუსია. მაგრამ ასეთ დისკუსიას, კვირაში ორსამჯერ შეუმლია დაეხმაროს ოჯახს სახარების შესწავლაში.

მილისწინა მოთხრობები

რადგან ბავშვების უმეტესობას უყვარს მილისწინა მოთხრობები, ისინი გვამლებენ მშვენიერ შესამლებლობას სახარების სწავლებისთვის, მოთხრობების წაკითხვით, ან

მოყოლით, წმინდა წერილებიდან, ეკლესიის პუბლიკაციებიდან, ან პირადი გამოცდილებიდან. მოთხრობები პატიოსნებაზე, გაზიარებაზე და სიკეთეზე ასწავლის მათ სახარების მნიშვნელოვან კანონებს.

ერთად მუშაობა

სახარების სწავლებისათვის ბევრი შესამლებლობა იქმნება, როდესაც ოჯახები ერთად შრომობენ სახლში. სახლის დალაგების, ან ეზოსა და ბაღში მუშაობისას, მშობლებმა უნდა გამოიყენონ მომენტი სახარებაზე სასაუბროდ. ბავშვი ხშირად დასვამს შეკითხვებს. მშობლებმა ყოველთვის უნდა გამომებნონ დრო მარტივი პასუხების გასაცემად. კომენტარები, როგორიცაა: ,,შენ კარგი მშრომელი ხარ. დარწმუნებული ვარ, რომ მამაზეციერი შენით ამაყობს," ,,შეხედე მშვენიერ ღრუბლებს, რომლებიც მამაზეციერმა შექმნა," ჩვენს შვილებს აღუმრავს მადლიერების გრძნობას მამაზეციერის მიმართ და იმის რწმენას, რომ ის მართლა არსებობს.

ოჯახური თათბირები

მამებმა უნდა შეკრიბონ ოჯახის წევრები სათათბიროდ. მათ უნდა გამოიყენონ ეს თათბირები, რათა დასახონ ოჯახის მიზნები, გადაწყვიტონ ოჯახის პრობლემები, განიხილონ ფინანსები, მეადგინონ გეგმები, მხარი დაუჭირონ და გაამლიერონ ერთმანეთი, გააკეთონ დამოწმება და ერთმანეთისთვის ილოცონ. თათბირი უნდა მოეწყოს საჭიროების შემთხვევაში. მამებს შეიმლება სურდეთ, მოაწყონ თათბირი ყოველ კვირას, ან საოჯახო საღამოების დროს. სხვათა აზრისადმი პატივისცემა უმთავრესია საოჯახო თათბირების წარმატებით ჩატარებისთვის.

კერძო ინტერვიუები

ბევრი მამა ფიქრობს, რომ შვილებთან ხმირი, კერძო საუბრები, ეხმარებათ მათ შვილებთან კიდევ უფრო დასაახლოვებლად, ახალისებს მათ სახარების სწავლებისთვის. ასეთი ინტერვიუები შეიმლება იყოს ფორმალური, ან არაფორმალური და შეიმლება ხმირად ჩატარდეს.

მამამ უნდა გამოხატოს თავისი სიყვარული და რწმენა ბავშვის მიმართ. ბავშვს უნდა ჰქონდეს შესამლებლობა, გამოხატოს თავისი გრძნობები ნებისმიერ საქმეზე, პრობლემაზე, ან გამოცდილებაზე. მამამ უნდა მოისმინოს ყურადღებით და სერიოზულად მიუდგეს ბავშვის პრობლემებს. იქნებ მამა–შვილს ერთად ლოცვის სურვილიც გაუჩნდეთ. პრობლემები, რომლებიც ჩნდება სხვა ოჯახის წევრებთან საუბრისას, მომდევნო საოჯახო საღამოზე განიხილება.

ოჯახური საქმიანობები

მამამ უნდა დაგეგმოს დრო, რომ მთელმა ოჯახმა ერთად აკეთოს საქმე. პიკნიკები, ლაშქრობები, ოჯახური პროგრამები, სახლის და ეზოს სამუშაოები, ცურვა, მთაზე ცოცვა, ფილმის ერთად ნახვა და სხვა სახის გართობა, მცირე ჩამონათვალია იმ უამრავი სახის გართობათაგან, რასაც ოჯახები ერთად აწყობენ.

როდესაც ოჯახები ერთად საქმიანობის სიამოვნებას განიცდიან, უფრო დიდ სიყვარულს და ჰარმონიას გრძნობენ. ბავშვებს უნდა ჰქონდეთ დიდი სურვილი, რომ მშობლებს მოუსმინონ და მათ რჩევებს მიჰყვნენ, როდესაც ისინი მათთან ახლოს არიან, მშობლები უფრო უკეთ ასწავლიან სახარებას.

ოჯახური პასუხისმგებლობების მესრულება

უფლის ეკლესიის მისიას წარმოადგენს, დაეხმაროს ხალხს ქრისტესთან მიახლოვებაში. ოჯახები ეხმარებიან ამ მისიის მესრულებაში, როდესაც:

1. ზრუნავენ თავიანთ სულიერ და ფიზიკურ საჭიროებებზე და ეხმარებიან სხვებს საჭიროებებზე საზრუნველად.
2. სხვებს უზიარებენ სახარებას.
3. ხედავენ, რომ ოჯახის წევრებმა მიიღეს საეკლესიო კურთხევები და ზრუნავენ, რათა ეს კურთხევები მათმა გარდაცვლილმა წინაპრებმა მიიღონ.

სულიერი და ფიზიკური საჭიროებები

სულიერი საჭიროებები

ამ სახელმძღვანელოს წინა ნაწილი – „სახარების სწავლება ოჯახში," მოიცავს ინფორმაციას, თუ როგორ ზრუნავენ ოჯახები თავიანთ სულიერ საჭიროებებზე.

ფიზიკური საჭიროებები

ოჯახები უნდა გახდნენ ისეთი დამოუკიდებელნი, რომ თვითონ იზრუნონ თავიანთ ფიზიკურ საჭიროებებზე და დაეხმარონ სხვებს. ამისათვის, ოჯახის წევრებს უნდა სურდეთ, რომ იმუშაონ, შრომა არის ფიზიკური, გონებრივი, ან

სულიერი მალისხმევა. ეს არის საქმის მესრულების, ბედნიერების, საკუთარი თავისი პატივისცემის და აყვავების წყარო. მშობლები უნდა ეცადონ იყვნენ დამოუკიდებელნი და ბავშვებსაც ასწავლონ იგივე. დამოუკიდებლობა, მათ სხვების დახმარების საშუალებას მისცემს.

მამები მოვალენი არიან ოჯახი არჩინონ. დედების უმთავრესი მოვალეობა შვილების აღზრდაა. მშობლები ზრუნავენ, რომ მათ ოჯახს ჰქონდეს სისუფთავე ოჯახში, ყველანაირი საკვები, ტანსაცმელი, სამედიცინო და სტომატოლოგიური მზრუნველობა, საგანმანათლებლო შესამლებლობები, მითითებები ოჯახის ფინანსების მართვის შესახებ და თუ შესამლებელია შრომა, რათა მოიყვანონ საკუთარი საკვები. მშობლებმა უნდა ასწავლონ შვილებს, თუ როგორ მოამზადონ საკვები და როგორ შეინახონ შემდგომი მოხმარებისთვის.

მშობლებს ბევრი შრომა უხდებათ ოჯახის წევრების ფიზიკური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ,,რათა არ იტანჯებოდნენ თავიანთი შვილების შიმშილის და ჩაუცმელობის გამო" (მოსე 4:14). მშობლებმა უნდა დაგეგმონ და მოემზადონ ოჯახური საჭიროებების უზრუნველსაყოფად, ავადმყოფობის, უბედური შემთხვევების, უმუშევრობის, ან სხვა სირთულეების დროს. თუ მამას უჭირს ოჯახის ფიზიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და თუ ოჯახის სხვა წევრები უმლურნი არიან დასახმარებლად, მან შეიძლება დახმარება სთხოვოს სამღვდელოების წინამძღოლს.

ბავშვებიც უნდა ეხმარებოდნენ მშობლებს, ოჯახის რჩენაში თავიანთი შრომით, სკოლაში კარგად სწავლით, თავიანთი ტანსაცმლის და სხვა ნივთების მოვლით, პირადი სისუფთავით და ოჯახის სუფთად მოვლით და კარგი ჯანმრთელობის შენარჩუნებით.

ოჯახის წევრებმა უნდა გააუმჯობესონ თავიანთი კითხვის, წერის და მათემატიკის მესწავლის უნარი და უნდა ყველაფერი გააკეთონ, კარგი ცოდნის მისაღებად. ისინი უნდა დაემორჩილონ სიბრძნის სიტყვას და ჯანმრთელი საკვები მიირთვან, როცა არსებობს მესამლებლობა, ოჯახებმა უნდა მეინახონ წლის მარაგი, ან რაც შეიძლება მეტი მირითადი სასიცოცხლო პროდუქტი. ოჯახის წევრებმა თავი უნდა აარიდონ არააუცილებელ ვალებს, უნდა გადაინახონ ფული სამომავლოდ, შეასრულონ ყველა ვალდებულება და ყველა რესურსი გონივრულად, უმცირესი დანაკარგებით გამოიყენონ.

მშობლებმა უნდა ასწავლონ თავიანთ შვილებს, რომ სხვებს გაუზიარონ. თითქმის ყველას შეუძლია რაღაცის გაცემა, იმის მიუხედავად, რამდენად მცირეა ის.გაჭი-

რვებულთა დახმარების ერთი გზაა მარხვა. ყოველ თვე სამარხვო მესაფირების გაცემა, რომელიც გამოიყენება მმიერთა გამოსაკვებად, უსახლკაროთა თავშესაფრად, მიშველთა შესამოსად, სნეულთა განსაკურნებლად. გამოვხატავთ სიყვარულს უფლის მიმართ სხვათა დახმარებით. მან თქვა: – „რაც კი გაუკეთეთ ერთს, ჩემს მცირე მმათაგანს, მე გამიკეთეთ" (მათე 25:40).

საზარების გაზიარება

უფალმა, უკანასკნელი დღეების წმინდანთა დახმარებით გვასწავლა, რომ ეკლესიის ყოველი წევრი ვალდებულია სხვებს გააცნოს სახარება. ყველა ადამიანის მოვალეობაა დაეხმაროს სხვას, როგორც თვითონ მას დაეხმარნენ" (დოქტრინები და აღთქმები. 88:81). „მორმონის წიგნში," წინასწარმეტყველმა ალმამ ახსნა, რომ ნათლობის დროს, ჩვენ მუდამ უნდა დავამოწმოთ ღმერთი, ყველაფერში და ყველგან (იხ. მოსე 18:9).

ოჯახის წევრებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ დაეხმარონ ნათესავებს, მეგობრებს და მეზობლებს, შეისწავლონ იესო ქრისტეს სახარება და ის კურთხევა, რაც მას მოაქვს მათ ცხოვრებაში. სახარების გაზიარებით, მმობლები და შვილები ამლიერებენ თავიანთ დამოწმებებს და მოაქვთ სახარების კურთხევა სხვათათვის. ოჯახებს შეუმლიათ:

- მცნებების სამაგალითო დამცველნი იყვნენ (იხ. მათე 5:16).
- იყვნენ მადლიერნი მათი ეკლესიის წევრობის (იხ. რომაელთა მიმართ 1:16) და სხვებს უამბონ მათი წევრობის შესახებ.
- ჰკითხონ ნაცნობებს, სურთ თუ არა მეტის გაგება ეკლესიის შესახებ.
- სთხოვონ უფალს დაეხმაროს მათ, შეარჩიონ ოჯახი, ან პიროვნება, რომელიც მზადაა სახარების მოსასმენად.
- გააცნონ ოჯახი, ან პიროვნება ეკლესიას რაიმე სახით, მაგალითად, მათ საოჯახო საღამოზე, ან ეკლესიის შეხვედრეზე, ან რაიმე საქმიანობაზე მიწვევით; მისცენ მათ საეკლესიო წიგნები, ან პამფლეტები წასაკითხად, ან ისაუბრონ სახარების კურთხევაზე.
- მიიწვიონ ოჯახი, ან პიროვნება ოჯახში, რათა მისიონერებმა ასწავლონ მათ.

მშობლები ვალდებულნი არიან მოემზადონ და მოამზადონ საკუთარი შვილები, სრული დროის მისიონერად მსახურებისთვის, რომ მოამზადონ შვილები, განსაკუთრებით კი ვაჟები. მშობლებმა უნდა ასწავლონ სახარება ოჯახში, ჩაატარონ პირადი და ოჯახური წმინდა წერილების სწავლება, ლოცვები და ხშირად ისაუბრონ სახარების გაბიარების პასუხისმგებლობაზე და კურთხევაზე. მათ უნდა ასწავლონ შვილებს, გადაინახონ ფული მისიისთვის. ბევრი იშრომონ, იყვნენ დამოუკიდებელნი, უყვარდეთ და მსახურებდნენ სხვებს.

საეკლესიო წეს-ჩვეულებები ცოცხალთა და გარდაცვლილთათვის

ტამრებში, ღირსეული ეკლესიის წევრები, წმინდა კურთხევებს იღებენ და აღთქმას ამლევენ ღმერთს. ისინი ასევე მონაწილეობენ საეკლესიო რიტუალებში, მათი დაავადებული წინაპრებისთვის. რამდენადაც შესამლებელია მამას, ან დედას უნდა ჰქონდეთ საეკლესიო რეკომენდაცია მათი სამღვდელოების წინამმღოლისგან და წავიდნენ ტამარში საეკლესიო კურთხევების მისაღებად. თუ მათ არ შეუმლიათ ტამარში წასვლა, უნდა იცხოვრონ ღირსეულად საეკლესიო რეკომენდაციებით.

ოჯახებს აქვთ წმინდა პასუხისმგებლობა, რომ საეკლესიო წეს-ჩვეულებები სრულდება მათი წინაპრებისთვისაც, რომლებიც გარდაიცვალნენ მათი მიღების გარეშე. ეკლესიის წევრებმა, რომლებმაც მიიღეს საკუთარი კურთხევა, უნდა მივიდნენ ტამარში ისე ხშირად, როგორც დრო, სამუალება და ტამრის სიახლოვე იმლევა სამუალებას, მათი წინაპრებისთვის საეკლესიო რიტუალის შესასრულებლად.

მამებმა და დედებმა უნდა შეაგროვონ წერილობით ჩანაწერები, მათ და მათი შვილების ცხოვრებაში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებზე. მათ შორის სერთიფიკატი გაცემული კურთხევაზე, ნათლობაზე, თანამდებობის მიღებაზე, ქორწინებასა და გარდაცვალებაზე, მნიშვნელოვანი წერილები, ფოტოსურათები, გაზეთიდან ამოჭრილი სტატიები და მსგავსი რამ. მათ უნდა შეადგინონ თავიანთი პირადი ისტორია და უნდა წაახალისონ

თითოეული ოჯახის წევრი, რომ შეადგინონ პირადი ისტორიები. ისინი უნდა დაეხმაროონ უმცროსი ასაკის ბავშვებს, დაიწყონ თავიანთი პირადი ისტორიების შედგენა. ოჯახებმა უნდა შეაგროვონ ინფორმაცია, მათი წინაპრების შესახებ და შეადგინონ ის ოჯახის ისტორიად. ინფორმაციის შეგროვება უნდა დაიწყონ ბოლო ოთხი თაობით.

წინამძღოლობისთვის მომზადება

მისიის, რაიონისა და პალოს ლიდერების მითითებით, ქვორუმისა და ჯგუფის მღვდლობის ლიდერებმა უნდა ასწავლონ ყოველ მამას, რომლებსაც ისინი ხელმძღვანელობენ, რომ გაიგონ და შეასრულონ სამღვდელოების სამი მირითადი მოვალეობა საკუთარ ოჯახში (იხ. გვერდები (12–15). სამღვდელოების წინამძღოლებმა უნდა ასწავლონ თითოეულ მამას, თუ როგორ უხელმძღვანელოს საკუთარ ოჯახს, როგორც ეკლესიის შემადგენელ ნაწილს. თუ ოჯახი არ ცხოვრობს ფილიალში, ან სამეურვეოში, მისიის, მხარის, ან პალოს წინამძღოლებმა უნდა ნახონ, სწავლობენ და ასრულებენ თუ არა მამები თავიანთ პასუხისმგებლობებს.

ოჯახში საეკლესიო სამსახურის ჩატარება (ოჯახებისთვის, რომლებიც ცხოვრობენ იზოლირებულ გარემოში).

ზოგიერთი ოჯახი ცხოვრობს იზოლირებულ გარემოში და არ ეკუთვნის ჯგუფს, პალოს ან მეურვეობას. *მისიის, მხარის ან პალოს პრეზიდენტის ნებართვით*, ასეთი ოჯახები უნდა ასრულებდნენ საკვირაო თაყვანისცემის მსახურებას თავიანთ სახლში. იმ მხარეში, სადაც ეკლესიას არ აქვს დაფუძნებული საეკლესიო დანაყოფი. ოჯახებს სჭირდებათ სამხარეო პრეზიდენტის ნებართვა.

როდესაც მამა ფლობს შესაფერის მღვდლობას, მამამ ან მღვდლობის სხვა მფლობელმა, შეიძლება მოამზადოს და აკურთხოს ზიარება, თუ ის ღირსეულია, აარონის, თუ მელქისედექის სამღვდელოების მატარებელი მღვდელია და *აქვს ნებართვა თავისი სამღვდელოების წინამძღოლისგან*. ნებისმიერ მღვდლობის მფლობელს, შეუძლია ჩაატაროს ზიარება. ზიარების ხელმძღვანელობის მითითებები, ამ სახელმძღვანელოს – 21–23 გვერდზეა მოცემული.

საკვირაო თაყვანისცემის მსახურება მარტივი, თაყვანისმცემლური და ღირსეული უნდა იყოს. მას შეიძლება შეადგენდეს:

1. გახსნის საგალობელი.

2. გახსნის ლოცვა.

3. ზიარების კურთხევა და გაცემა.
4. ქვემოთ ჩამოთვლილი ერთი, ან მეტი პუნქტი:
   - ერთი, ან ორი მოკლე საუბარი, ან დამოწმება.
   - წმინდა წერილის კითხვა და დისკუსია.
   - გაკვეთილი ოჯახის წევრის მიერ.
5. დახურვის საგალობელი.
6. დახურვის ლოცვა.

საკვირაო თაყვანისცემის მსახურების დაგეგმვისას, მამა უნდა მოქმედებდეს უფლის სულის წინამძღოლობით: „მორმონის წიგნში," ხალხმა ასეთი მსახურების მაგალითი მოგვცა: „და მათი მეხვედრები ეწყობოდა. . . სულის და სული წმიდის მალით და რადგან მალა წინამძღოლობდა მათ, ისინი ქადაგებდნენ, რჩევებს იმლეოდნენ, ლოცულობდნენ, ევედრებოდნენ, ან გალობდნენ" (იხ. მორონი 6:9).

ოჯახი უნდა იყენებდეს წმინდა წერილის მირითად სახელმძღვანელოს. დამატებით მათ მეუმლიათ გამოიყენონ მთავარი საკონფერენციო მიმართვები, *მირითადი სახარება, სახარების კანონები, საეკლესიო ჟურნალები,* მისიონერთა პამფლეტები, სხვა საეკლესიო პუბლიკაციები და აუდიო თვალსაჩინო სამუალებები.

თუ ოჯახში მღვდლობას არავინ ფლობს, მამამ, ან დედამ შეიმლება შეაგროვოს ოჯახის წევრები ერთად, რომ იმღერონ საგალობლები, ისწავლონ წმინდა წერილები, ილოცონ და დაუახლოვდნენ ერთმანეთს და მამაზეციერს. ოჯახზე მიმაგრებულმა სამღვდელოების წინამმღოლმა, უნდა მოაწყოს პერიოდულად ზიარება და მიაღებინოს ოჯახს.

მმობლებმა უნდა მოაწყონ საკვირაო საქმიანობა, როგორიცაა ლამქრობა, პიკნიკები, ფილმის ერთად ყურება, ნათესავებთან სტუმრობა, სპორტი, მუსიკალური პროგრამები და ცურვა.

ოჯახმა, რომელიც არ მიეკუთვნება მეურვეობას, ან ფილიალს უნდა გადასცეს მეათედი და სამარხო მესაწირები, სხვა მესაწირები ოჯახზე მიმაგრებულ სამღვდელოების წინამმღოლს.

ოჯახებმა არ უნდა წარმოადგინონ წერითი მოხსენება ეკლესიაში, მაგრამ მამამ ზოგჯერ სამღვდელოების წინამმღოლებთან გასაუბრება უნდა გაიაროს მღვდლობის ლიდერთან, სულ ცოტა კვარტალში ერთხელ, სადაც ის ისაუბრებს საკუთარი ოჯახის სტატუსზე.

სამღვდელოების წეს-ჩვეულებები და კურთხევები.

სამღვდელოების რიტუალები წმინდა ქმედებაა, რომელიც უფლისგან გვემლევა და სრულდება სამღვდელოების ავტორიტეტის მიერ. მღვდლობის კურთხევა გვემლევა სამღვდელოების ავტორიტეტის მიერ, დასამშვიდებლად და გასამხნევებლად. სამმო, რომელიც რიტუალს და კურთხევას ასრულებს, უნდა მოემზადოს სახარების კანონების მიხედვით და უნდა ეცადოს, რომ წინ წარუმღვეს სულიწმიდა. მან ღირსეულად უნდა შეასრულოს ყოველი რიტუალი და კურთხევა, შეასრულოს შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით. წეს-ჩვეულება უნდა იყოს:

1. შესრულებული იესო ქრისტეს სახელით.
2. შესრულებული სამღვდელოების ავტორიტეტის მიხედვით.
3. შესრულებული ნებისმიერი საჭირო პროცედურა, როგორიცაა სპეციალური სიტყვების, ან ნაკურთხი ზეთის გამოყენება.
4. დანიშნული სამღვდელოების წინამმღოლის მიერ, რომელიც ფლობს საჭირო გასაღებებს, თუ ეს საჭიროა. *წეს-ჩვეულებები, რომლებიც სამღვდელოების წინამმღოლის ნებართვას მოითხოვს. სახელს არქმევენ და ლოცავენ ბავშვებს, ასრულებენ*

ნათლობას, დადასტურებას, ან ამოწმებენ მღვდლობას და წარადგენენ სამღვდელოების თანამდებობაზე, აკურთხებენ და გადასცემენ ზიარებას და აკურთხევენ საფლავებს.

როდესაც რამოდენიმე მმა ატარებს საეკლესიო წეს-ჩვეულებას, ან კურთხევას, ყოველმა მათგანმა, მარცხენა ხელი უნდა დაადოს მხარზე, გვერდზე მდგომ მმას. დიდი რაოდენობით მმების მოწვევა, ასეთ შემთხვევაში არ იგულისხმება.

წეს-ჩვეულებები და კურთხევები, რომლებიც ამ სექციაშია ახსნილი, დაეხმარება მამებს იმსახურონ, როგორც პატრიარქებმა თავიანთ ოჯახებში.

ბავშვებისათვის სახელის დარქმევა და კურთხევა

,,იესო ქრისტეს ეკლესიის ყველა წევრმა, რომელსაც შვილები ჰყავს, უნდა მიუყვანოს ისინი უხუცესს, ეკლესიის დაწყებამდე, რომელიც მათ თავზე ხელებს ადებს იესო ქრისტეს სახელით და აკურთხებს მხსნელის სახელით" (დოქტრინები და აღთქმები. 20:70). გამოცხადების მიხედვით, მხოლოდ ღირსეული კაცები, რომლებიც ფლობენ მელქისედექის მღვდლობას, შეიმლება მონაწილეობდნენ ბავშვების სახელის დარქმევასა და კურთხევაში. *ბავშვების სახელის დარქმევისა და კურთხევის რიტუალი, მოითხოვს უფლებას წინამძღოლი ავტორიტეტისგან.*

ჩვილის კურთხევის დროს, მელქისედექის მღვდლობის მქონე კაცები დგებიან წრეში და ხელში უჭირავთ ჩვილი. უფროსი ასაკის ბავშვის კურთხევისას, მმები აწყობენ ხელებს მსუბუქად ბავშვის თავზე. პიროვნება, რომელიც აკურთხებს:

1. მიმართავს მამაზეციერს
2. ადგენს, რომ კურთხევა გაიცემა მელქისედექის სამღვდელოების ავტორიტეტის მიერ.
3. ბავშვს არქმევს სახელს.
4. ამლვს სამღვდელოების კურთხევას, როგორც სული მიუთითებს.
5. ამთავრებს იესო ქრისტეს სახელით.

ნათლობა

მთავარი ავტორიტეტის მითითებით, ღირსეული მღვდელი, ან კაცი, რომელიც მელქისედექის მღვდლობას ფლობს ნათლობას ასრულებს. ამისათვის ის:

1. მოსანათლ ადამიანთან ერთად წყალში დგება.
2. მოხერხებულობისა და უსაფრთხოებისათვის, პიროვნების მარჯვენა მკლავი, მარცხენა ხელით უკავია.პიროვნება, რომელიც ინათლება, მარცხენა ხელს კიდებს, მარცხენა ხელის მაჯაზე მას, ვინც ნათლობას ასრულებს.
3. ზემოთ აღმართავს მარჯვენა მკლავს მოხრილად.
4. ადგენს პიროვნების სრულ სახელს და ამბობს: – ,,იესო ქრისტეს მიერ მონიჭებული უფლებით, მე გნათლავ შენ, სახელითა მამისათა და მისათა და წმიდისა სულისათა, ამინ" (დოქტრინები და აღთქმები 20:73).
5. უფრო მოხერხებულობისთვის, პიროვნებას მიეცით უფლება ცხვირზე მოიჭიროს მარჯვენა ხელი. ის ვინც ასრულებს ნათლობას, თავის მარჯვენა ხელს ადებს პიროვნებას ზურგის ზედა ნაწილზე და ჩაუმვებს პიროვნებას მთლიანად წყალში, ტანსაცმლიანად.
6. ეხმარება პიროვნებას წყლიდან ამოსვლაში.

ორი მღვდელი, ან მელქისედექის მღვდლობის მქონე ორი ადამიანი, ესწრება ყოველ ნათლობას, რომ დარწმუნდეს ნათლობის სწორად ჩატარებაში. ნათლობა უნდა ხელახლა ჩატარდეს იმ მემთხვევაში, თუ სიტყვები ისე არ იქნება წაკითხული, როგორც ეს მოცემულია წიგნში ,,დოქტრინები და აღთქმები" 20:73, ან თუ პიროვნების სხეული, ან ტანსაცმლის პატარა ნაწილი არ ჩავიდა წყალში მთლიანად. მოსანათლ პიროვნებასა და მას ვინც ნათლავს, უნდა ეცვათ თეთრი ტანსაცმელი, რომელიც არ იქნება წყალში გამჭირვალე.

დამტკიცება

მონათლულები, რომლებიც არიან ცხრა, ან მეტი წლის და ისინი,

რომლებიც არიან 8 წლის და მმობლები, ორივე არიან არაწევრები, მტკიცდებიან ბიარების შეხვედრაზე (იხ. დოქტრინები და აღთქმები 20:41). რვა წლის ბავშვები, შეიმლება მაშინვე დამტკიცდნენ, ნათლობის შემდეგ, მოწათვლის ადგილას, თუ მისი ერთ-ერთი მმობელი მაინც არის ეკლესიის წევრი და ორივე მმობელი, ნათლობის და დამტკიცების ნებართვას იმლევა. *ფილიალის პრეზიდენტის, ან ეპისკოპოსის მითითებით*, ერთი ან მეტი კაცი, რომელიც ფლობს მელქისედექის მღვდლობას, შეიმლება ასრულებდეს ამ რიტუალს. ისინი მსუბუქად აწყობენ ხელებს პიროვნებას თავზე. ის ვინც ასრულებს ამ წეს-ჩვეულებას:

1. ადგენს პიროვნების სრულ სახელს.
2. ადგენს, რომ რიტუალი შესრულდა მელქისედექის სამღვდელოების ავტორიტეტის მიერ.
3. ამტკიცებს პიროვნებას, უკანასკნელი დღეების წმინდანთა, იესო ქრისტეს ეკლესიის წევრად.
4. მოიხმობს სულიწმიდის ნიჭს ამ სიტყვების წარმოთქმით – ,,მიიღე სულიწმიდა.”
5. ამლევს მღვდლობის კურთხევას, როგორც სული უკარნახებს.
6. მთავრდება იესო ქრისტეს სახელით.

სამღვდელოების დამტკიცება და სამღვდელოების თანამდებობაზე კურთხევა

ფილიალის პრეზიდენტი ხელმმღვანელობს აარონის მღვდლობაზე დამტკიცებას და ასევე დიაკვნის, მასწავლებლის და მღვდლის თანამდებობაზე კურთხევას. ვიდრე პიროვნებას აკურთხებენ აარონის მღვდლის თანამდებობაზე, მას უნდა გაესაუბროს ფილიალის პრეზიდენტი და ღირსეულ ადამიანად უნდა მიიჩნიოს. ასევე, ის უნდა სცნონ ღირსად ფილიალის ბიარების შეხვედრაზე. ფილიალის პრეზიდენტის ავტორიტეტით, მღვდელმა შეიმლება დაამტკიცოს აარონის მღვდლობაზე პიროვნება და აკურთხოს ის აარონის მღვდლის თანამდებობაზე.

მისიის პრეზიდენტი ხელმმღვანელობს მელქისედექის მღვდლობაზე დამტკიცებას და უხუცესის თანამდებობაზე კურთხევას.

რომ დაამტკიცონ მღვდლად, ან აკურთხონ პიროვნება მღვდლის

თანამდებობაზე, ერთი, ან მეტი საჭირო მღვდლობის მატარებელი კაცი, რომლებიც უფლებამოსილები არიან მათზე ზემდგომი ავტორიტეტისგან, პიროვნებას მსუბუქად აწყობენ თავზე ხელებს. ის ვინც ასრულებს რიტუალს:

1. წარმოთქვამს პიროვნების სრულ სახელს.
2. ადგენს უფლებას (აარონის, ან მელქისედექის) რითაც ეს კურთხევა შესრულდა.
3. ამტკიცებს აარონის, ან მელქისედექის მღვდლობაზე, თუკი ის არ ყოფილა დამტკიცებული.
4. აკურთხებს პიროვნებას აარონის, ან მელქისედექის მღვდლობაზე და ანიჭებს ამ თანამდებობის უფლებებს, მალასა და ავტორიტეტს.
5. ამლევს მღვდლობის კურთხევას, როგორც სული მიუთითებს.
6. ამთავრებს იესო ქრისტეს სახელით.

ზიარება

ზიარება, ყველაზე წმინდა კურთხევაა. ზიარების მიღება, საშუალებას იმლევა გვახსოვდეს ცხოვრება, სწავლება და გამოსყიდვა იესო ქრისტესი. ეს იმ აღთქმების განახლების დროა, რომელიც უფალმა დადო ნათლობის დროს (იხ. მოსია 18:8–10).

მასწავლებლებმა და მღვდლებმა, შეიმლება მოამზადონ ზიარება. მღვდლებმა შეიმლება აკურთხონ ის და დიაკვნებმა, მასწავლებლებმა და მღვდლებმა შეიმლება გადააწოდონ ის. მმებმა, რომლებიც ფლობენ მელქისედექის მღვდლობას, შეიმლება მოამზადონ, აკურთხონ და გადააწოდონ ზიარება, მაგრამ ამის გაკეთება მამინ შეიმლება, როდესაც მალიან ცოტა, აარონის მღვდლობის მატარებელი მმები არიან. პიროვნებას, თუ მალიან დიდი ცოდვა აქვს ჩადენილი, არ უნდა მოემზადოს, იკურთხოს, ან ეზიაროს, ვიდრე არ მოინანიებს და არ გამოასწორებს საქმეს ფილიალის პრეზიდენტთან.

ისინი, ვინც მოემზადებიან, იკურთხებიან, ან ეზიარებიან, ამ რიტუალს ატარებენ სხვებისთვის უფლის სახელით. თითოეული, მღვდლობის მფლობელი ადამიანი, უნდა ასრულებდეს ამ დავალებას დიდი მოწიწებით. ის უნდა იყოს კარგად მოწესრიგებული, სუფთა და სადად ჩაცმული. პირადი გარეგნობით, უნდა გამოხატავდეს ამ რიტუალის სიწმინდეს.

მმები, რომლებიც ამზადებენ ზიარებას, ასრულებენ შეხვედრის დაწყებამდე. ისინი დებენ მთლიან პურს სუფთა ლანგარზე და ათავსებენ ასევე ლანგარზე, რომელზეც წყლით სავსე ჭიქებია მოთავსებული, ზიარების მაგიდაზე. ისინი პურსა და წყალს აფარებენ სუფთა, თეთრ ქსოვილს.

ზიარების გალობის შესრულებისას, ზიარების მაგიდასთან მყოფნი, ახდიან ქსოვილს, პურის ლანგარს და ამტვრევენ პურს პატარ-პატარა ნაწილებად. გალობის შემდეგ, პიროვნება, რომელიც ლოცავს პურს, იჩოქებს და წარმოთქვამს ზიარების ლოცვას პურზე. შემდეგ, მმები აწვდიან პურს იქ დამსწრეთ თავაზიანად და რიგის მიხედვით. პირველად ზიარებას იღებს წინამძღოლი, ავტორიტეტული პირი. როდესაც იქ დამსწრეთაგან, ყველა მიირთმევს პურს, ლანგარი საბოლოოდ კვლავ ზიარების მაგიდას უბრუნდება. კვლავ აკურთხებენ ზიარებას და გადააფარებენ ქსოვილს ლანგარზე, როგორც კი პური გათავდება.

ზიარების მაგიდასთან მდგომნი, გადახდიან ქსოვილს წყლის ლანგარს. პიროვნება, რომელიც წყალს აკურთხებს იჩოქებს და წარმოთქვამს ზიარების ლოცვას წყლისათვის. მმები, წყალს აწვდიან იქ დამსწრეებს. ლანგარი უბრუნდება ზიარების მაგიდას და კვლავ აფარებენ თავზე. მმები, რომლებიც აკურთხებენ, ზიარებას შემდეგ ადგილს იკავებენ დამსწრეთა შორის.

ზიარება არის ეკლესიის წევრთათვის, მათ შორის ბავშვებისთვის. პიროვნებამ, რომელიც ატარებს ამ შეხვედრას, არ უნდა გამოაცხადოს, რომ ზიარება მხოლოდ წევრებისთვის შეიმლება, არ უნდა აუკრძალოთ არაწევრებს ზიარებაში მონაწილეობა.

ზიარების ლოცვა უნდა წაიკითხონ გარკვევით, სუფთად და ღირსეულად. თუ პიროვნება, რომელიც აკურთხებს ზიარებას, კითხვისას უშვებს შეცდომას და არ შეასწორებს თვითონ, ფილიალის პრეზიდენტი სთხოვს მას, რომ ლოცვა ხელახლა გაიმეოროს.

პურის დალოცვა შემდეგნაირია:

,,ო, ღმერთო მარადიულო მამავ, ჩვენ გთხოვთ შენი მის, იესო ქრისტეს სახელით, რომ აკურთხო და განწმინდო ეს პური ყველა იმ არსებისათვის, ვინც მიიღებს მას, შენი მის სახელის მოსაგონებლად და იყვნენ მოწმენი შენს წინაშე. ღმერთო, მარადიულო მამავ, რომ ისინი მზად არიან, მიიღონ შენი მის სახელი, ყოველთვის ახსოვდეთ და დაიცვან მის მიერ მოცემული მცნებანი. დაე, მისი სული მარადჟამს იყოს მათთან. ამინ" (დოქტრინები და აღთქმები. 20:77 და მორონი 4).

წყლის დალოცვა არის შემდეგნაირი:

,,ო, ღმერთო მარადიულო მამავ, ჩვენ გთხოვთ შენი მის, იესო ქრისტეს სახელით, რომ აკურთხო და განწმინდო ეს წყალი, ყველა იმ არსებისათვის ვინც შესვამს მას შენი მის, მისთვის დაღვრილი სისხლის მოსაგონებლად, რამეთუ მოწმედ დაგიდგნენ ისინი. ო, ღმერთო, მარადიულო მამავ, დაე ყოველთვის აწსოვდეთ იგი და მისი სული იყოს მათთან, ამინ (დოქტრინები და აღთქმები 20:79 და მორონი 5).

შეხვედრის შემდეგ, მაგიდიდან უნდა აიღონ ზიარების ჭურჭელი. პურის ნარჩენი შეიმლება გამოიყენონ საჭმელად.

კურთხევისთვის და ზიარებისთვის, ხელმძღვანელი ავტორიტეტული პირისგან ნებართვაა საჭირო.

ზეთის კურთხევა

ერთი, ან მეტი მელქისედექის მღვდლობის მფლობელი კაცი, აკურთხებს ზეითუნის ზეთს წმინდა მიზნებისთვის, რათა აცხოს ზეთი ავადმყოფებსა და ხეიბრებს. ვინც აკურთხებს ზეთს, მას:

1. უკავია ზეთით სავსე თავახდილი ჭურჭელი.
2. მიმართავს ჩვენს მამაზეციერს.
3. ადგენს, რომ ის მოქმედებს მელქისედექის მღვდლობის უფლებით.
4. აკურთხებს ზეთს (არა ჭურჭელს) და ცალკე შეინახავს, რათა აცხოს ავადმყოფებსა და ხეიბრებს.
5. ამთავრებს იესო ქრისტეს სახელით.

სნეულთა გამღოლა

მხოლოდ მელქისედექის მღვდლობის მქონე კაცებს შეუმლიათ უხელმძღვანელონ სნეულებსა და ინვალიდებს. ჩვეულებრივ ორი, ან მეტი ხელმძღვანელობს ერთად, მაგრამ ერთსაც შეუმლია მარტო შესრულება. თუ ნაკურთხი ზეთი არ არის ხელმისაწვდომი, მელქისედექის მღვდლობის კაცს, შეუმლია დაილოცოს მღვდლობის უფლებით. . .

მამა, რომელიც ფლობს მელქისედექის მღვდლობას, უნდა ხელმძღვანელობდეს მისი ოჯახის ავადმყოფ წევრებს. მან შეიმლება სთხოვოს მელქისედექის მღვდლობის მქონე სხვა კაცს, რომ დაეხმაროს მას.

ავადმყოფთა გამღოლა ორი ნაწილისგან შედგება: ზეთის ცხება ზეთ ცხებულთა დამტკიცება.

ზეთის ცხება

ერთი, მელქისედექის მღვდლობის მქონე კაცი აცხებს ზეთს სნეულს, ამის გასაკეთებლად იგი:

1. ერთ წვეთ, ნაკურთხ ზეთს აწვეთებს პიროვნებას თავზე.
2. აწყობს ხელებს მსუბუქად პიროვნებას თავზე და სრული სახელით მოიხსენიებს მას.
3. ადგენს, რომ ის აცხებს ზეთს პიროვნებას, მელქისედექის მღვდლობის უფლებით.
4. ადგენს, რომ ის აცხებს ნაკურთხ ზეთს სნეულთა და ხეიბართა კურთხევისათვის და ცხებისთვის.
5. ამთავრებს იესო ქრისტეს სახელით.

ზეთ ცხებულთა დამტკიცება

ჩვეულებრივ, ორი ან მეტი, მელქისედექის მღვდლობის მქონე კაცი, ადებს ხელებს მსუბუქად სნეული ადამიანს თავს. ერთ-ერთი ხელმძღვანელი ამტკიცებს ზეთცხებულს. ამის შესასრულებლად ის:

1. წარმოთქვამს პიროვნების სახელს სრულად.
2. აღნიშნავს, რომ ის ამტკიცებს ზეთცხებულს მელქისედექის მღვდლობის უფლებით.
3. ამლევს მათ კურთხევას, როგორც სული უკარნახებს.
4. ამთავრებს იესო ქრისტეს სახელით.

მამის კურთხევა და სხვა კურთხევები დასამშვიდებლად და რჩევისთვის

მამისა და სხვა მღვდლობის კურთხევები გვემლევა, რათა მივცეთ მიმართულება და სიმშვიდე სულის დახმარებით.

მელქისედექის მღვდლობის მქონე მამას, შეუმლია მისცეს მამის კურთხევა თავის შვილებს. ასეთი კურთხევა, შეიმლება მლიერ დაეხმაროს ბავშვებს, როდესაც ისინი სახლიდან მიდიან, სკოლაში, ან მისიით აპირებენ წასვლას. როდესაც იწყებენ სამსახურს, ქორწინდებიან, მიდიან სამხედრო სამსახურში, ან იწყებენ რაიმე უჩვეულო საქმიანობას. ეს კურთხევები, ოჯახისთვის იქნება უდიდესი მალის მიმცემი. ოჯახმა, შეიმლება ჩაიწეროს მამის კურთხევა, მაგრამ ეს არ იქნება საეკლესიო ჩანაწერებში. მშობლებმა უნდა აუხსნან შვილებს, რომ საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვონ მამის დალოცვა.

მელქისედექის მღვდლობის მქონე კაცებს, ასევე შეუმლიათ გასცენ კურთხევები სანუგეშებლად და რჩევისთვის თავიანთ ცოლებზე, დიდი ოჯახების წევრებზე და სხვებზეც, ვინც ამას ითხოვს.

მამის კურთხევის, ან სხვა კურთხევების, როგორიცაა ნუგეშის და რჩევის კურთხევების გაცემისას, მელქისედექის მღვდლობის მქონე პიროვნება, მარტო, ან სხვა იმავე მღვდლობის მქონე კაცთან ერთად, თავზე მსუბუქად აწყობს ხელებს პიროვნებას, რომელიც კურთხევას იღებს. ასეთი კურთხევისას, ზეთი არ არის აუცილებელი. ის ვინც იმლევა კურთხევას:

1. წარმოთქვამს პიროვნების სრულ სახელს.
2. აღნიშნავს, რომ იმლევა კურთხევას მელქისედექის სამღვდელოების უფლებით.
3. იმლევა კურთხევას, როგორც სული მიუთითებს.
4. ამთავრებს იესო ქრისტეს სახელით.

საფლავების კურთხევა

პიროვნება, რომელიც აკურთხებს საფლავს, უნდა ფლობდეს მელქისედექის მღვდლობას და *უფლება უნდა ჰქონდეს სამღვდელოების ხელმმღვანელისგან, რომელიც ამ მსახურებას აწყობს.*

საფლავის კურთხევისათვის იგი:

1. მიმართავს მამაზეციერს.
2. აღნიშნავს, რომ ის აკურთხებს საფლავს მღვდლობის უფლებით.
3. აკურთხებს და ზეთს აპკურებს საფლავის ადგილს, როგორც დაავადებული სხეულის განსასვენებელ ადგილს.
4. თუ საჭიროა ლოცულობს, რომ ადგილი იყოს ნაკურთხი და დაცული მკვდრეთით აღდგენამდე.
5. სთხოვს უფალს, რომ დაამშვიდოს ოჯახი და გამოხატავს სხვა აზრს ისე, როგორც სული მიუთითებს.
6. ამთავრებს იესო ქრისტეს სახელით.

თუ ოჯახს აწყობს, პიროვნებას (სასურველია კაცი, რომელიც ფლობს მელქისედექის მღვდლობას) შეუმლია აღავლინოს უფრო საფლავის ლოცვა, ვიდრე კურთხევის ლოცვა.

საეკლესიო მასალების მიღება და ინფორმაციის განთავსება ოჯახის ისტორიაში,

ადგილობრივი წინამმღოლები და სხვა წევრები შეიმლება ფლობდნენ საეკლესიო მასალებს. მათ შორისაა: – წმინდა წერილები, სასწავლო პროგრამები, საეკლესიო ჟურნალები, მოსასხამები და საეკლესიო ტანსაცმელი, ეკლესიის სადისტრიბუციო, ან მსახურების ცენტრიდან, სოლთ ლეიქის განაწილების ცენტრიდან, ან ეკლესიის ოფიციალური ინტერნეტის გვერდიდან, რომელიც მოთავსებულია www. lds.org

ოჯახის ისტორიის საქმეზე, ინფორმაცია ხელმისაწვდომია ეკლესიის ოჯახის, ისტორიის ინტერნეტის გვერდზე, რომელიც მოთავსებულია – www.familysearch.org.

THE CHURCH OF
JESUS CHRIST
OF LATTER-DAY SAINTS

GEORGIAN
4 02311 80131 2
31180 131